MIA 2 17 01989363

18/08/2017

ტიპი: **პატაკი**

შიდა №: **1989363**

თარიღი№: **18/08/2017**

გვერდები:

დანართი:

ინიციატორი: **გოგილავა ინდირა (მთავარი სპეციალისტი) ეკონომიკური დეპარტამენტი / სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო / ხელშეკრულებების უზრუნველყოფის განყოფილება**

ვისგან: **სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო ეკონომიკური დეპარტამენტი**

რეზოლუცია: **შესასრულებლად 22/08/2017 12:25**

ვინ: **გეწაძე ნინო (მთავარი სპეციალისტი) ეკონომიკური დეპარტამენტი / სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო / ხელშეკრულებების უზრუნველყოფის განყოფილება**

თემა: **გადაუდებელი აუცილებლობა (შოკოლადის ნაწარმი)**

ავტორები: **გაგოშიძე გრიგოლ (დეპარტამენტის დირექტორი) ეკონომიკური დეპარტამენტი**

ვიზირებები: **ხანიაშვილი თენგიზ (სამმართველოს უფროსის მოადგილე) ეკონომიკური დეპარტამენტი / სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო**
**ვაჩეიშვილი სოფიკო (სამმართველოს უფროსი) ეკონომიკური დეპარტამენტი / სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო**
**სიჭინავა მურთაზ (დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე) ეკონომიკური დეპარტამენტი**

რეზოლუციები: **საქმისწარმოების ორგანიზების განყოფილება ეკონომიკური დეპარტამენტი 21/08/2017 15:20**
**ადმინისტრაცია (დეპარტამენტი) შ.ს.ს. 21/08/2017 15:23**
**ვარდიაშვილი დავით (მინისტრის მოადგილე) შ.ს.ს. 21/08/2017 15:35**
**ეკონომიკური დეპარტამენტი შ.ს.ს. თანახმა ვარ 21/08/2017 18:24**
**ადმინისტრაცია (დეპარტამენტი) შ.ს.ს. 21/08/2017 18:36**
**ეკონომიკური დეპარტამენტი შ.ს.ს. 21/08/2017 18:43**
**სიჭინავა მურთაზ (დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე) ეკონომიკური დეპარტამენტი 22/08/2017 10:32**
**სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო ეკონომიკური დეპარტამენტი შესასრულებლად 22/08/2017 11:33**

საფუძვლები: **სამსახ. ბარათი 1970019 (16/08/2017);**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 2 17 01989363

18/08/2017

საქართველოს შინაგან საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
**ბატონ დავით ვარდიაშვილს**

**პ ა ტ ა კ ი**

მოგახსენებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შსს ლოჯისტიკის დეპარტამენტის, შსს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად 2016 წლის 21 დეკემბერს გამოცხადებული იქნა სხვადასხვა საკვები პროდუქტების (შოკოლადის ნაწარმი და კარამელის კანფეტი) შესყიდვის მიზნით ერთობლივი ელექტრონული ტენდერი (განცხადების ნომერი: SPA160031850).
აღნიშნულ ტენდერს „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის შესაბამისად მიენიჭა სტატუსი „ტენდერი არ შედგა". აქედან გამომდინარე მიმდინარე წლის 22 თებერვალს ხელმეორედ იქნა გამოცხადებული ერთობლივი ელექტრონული ტენდერი (განცხადების ნომერი: SPA170003242). აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა:

1. შპს „ბარამბო" - ღირებულებით 902 474 ლარი.
2. შპს „კომპანია ორბიტა" - ღირებულებით 902 100 ლარი.
3. შპს 'ბუერი" - ღირებულებით 902 000 ლარი.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტთან, შპს „ბუერი"-სთან მიმდინარე წლის 06 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება N255 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.
ზემოაღნიშნული ტენდერში გაფორმებული ხელშეკრულების პირობების მე-4 მუხლის შესაბამისად შპს „ბუერი"-მ დაიწყო შესყიდვის ობიექტის მიწოდება მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტების, წესებისა და მოთხოვნების დაცვით, ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული ვადების შესაბამისად.
აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით შსს ეკონომიკური დეპარტამენტში შემოვიდა შსს ლოჯისტიკის დეპარტამენტის მიმდინარე წლის 16 აგვისტოს N1968625 წერილობითი მომართვა, სადაც ასახულია, რომ მიმწოდებელი შპს „ბუერი"-ს მიერ მიმდინარე წლის ივნისის თვეში მოწოდებული იქნა შოკოლადი 6006კგ. (გამოშვების თარიღი – 20.04.17წ), ივლისის თვეში 6106,1 კგ. (გამოშვების თარიღი – 12.06.17წ), ხოლო აგვისტოს თვეში 335,34კგ.

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

სამივე მოწოდებულ პარტიას თან ახლდა პროდუქტის კვლევის ოქმები: №1171 (შპს „ეტალონი“), №4094 (შპს „ესპერტიზა+“) და №4258 (შპს „ესპერტიზა+“), კვლევის თანახმად პროდუქტი შესაბამისობაშია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ მახასიათებლებთან.

მიმდინარე წლის 18 ივლისს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის განსაკუთრებულ დავალებათა III სამმართველოში მოსამსახურეთა გარკვეულმა ნაწილმა უკან დააბრუნა დღიური ნორმით გათვალისწინებული შოკოლადი, შიგთავსში აღმოჩენილი ობის გამო (გამოშვების თარიღი – 20.04.17წ.). აღნიშნული ფაქტის შესახებ ეცნობა შპს „ბუერი“–ს დირექტორს, შედგა შესაბამისი აქტი (18.07.17წ), რომლის თანახმად შპს “ბუერი“–ს დირექტორმა ლაშა თოფურიამ აიღო ვალდებულება ნაშთად არსებული წუნდებული შოკოლადი (გამოშვების თარიღი – 20.04.17წ.) შეეცვალა ახლით. იმავე დღეს დანაყოფებიდან ამოღებული იქნა წუნდებული შოკოლადი, რაზედაც შედგა შეცვლის/ჩანაცვლების შესაბამისი აქტები.

შს სამინისტროს ლოჯისტიკის დეპარტამენტის კვების პროდუქტების მოთხოვნების დაზუსტებისა და მარაგებით უზრუნველყოფის სამსახურმა მიმდინარე წლის 19 ივლისს მიმართა (№1718363) წერილით შპს „ბუერი“–ს რათა დროულად მოეწვია ექსპერტი შოკოლადის (გამოშვების თარიღი 20.04.17წ) წუნდების მიზეზების დასადგენად და ეთხოვა მომხდარიყო წუნდებული შოკოლადის ეტაპობრივი შეცვლა. აღნიშნული წერილის საფუძველზე შპს „ექსპერტიზა+“–ის ექსპერტის მიერ მ/წ 20 ივლისს აღებული იქნა შოკოლადის ნიმუში ლაბორატორიული კვლევის ჩასატარებლად (ნიმუშის აღების აქტი №4255 20.07.17წ.).

აქვე გაცნობებთ, რომ „ბუერი“–მ მიმდინარე წლის №1794954 წერილით შსს ლოჯისტიკის დეპარტამენტში წარმოადგინა წუნდებულ შოკოლადზე შპს „ესპერტიზა+“–ში ჩატარებული კვლევის შედეგები (გამოცდის ოქმი №4255 (25.07.17)). საიდანაც გაირკვა, რომ შოკოლადის პარტიაში (გამოშვების თარიღი 20.04.17წ) აღმოჩნდა მიკრობთა საერთო რაოდენობის გაზრდილი მაჩვენებელი. ამავე წერილით წარმოდგენილი იქნა შოკოლადის ახალი პარტიის (გამოშვების თარიღი 17.07.17წ და 19.07.17წ.) გამოცდის ოქმები №№4253, 4258, რომლითაც განხორციელდა წუნდებული შოკოლადის (გამოშვების თარიღი 20.04.17წ) შეცვლა.

მიუხედავად შპს „ბუერი“–ს დირექტორის ლ. თოფურიას სიტყვიერი განმარტებისა, საწარმოში უკვე დახვეწილი იქნა ტექნოლოგიური პროცესი და მსგავს შემთხვევას ადგილი აღარ ექნებოდა, მათ მიერ მოწოდებულ შოკოლადის მომდევნო პარტიაში (გამოშვების თარიღი - 12.06.17წ.) კვლავ დაფიქსირდა ანალოგიური შემთხვევა, კერძოდ ქ.ზუგდიდში – განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის განსაკუთრებულ დავალებათა II სამმართველოში, რაზედაც შედგენილია შესაბამისი აქტი.

აღსანიშნავია, რომ შპს „ბუერი“–ს მიერ წარმოებული შოკოლადის („ალეგრო“ 55გრ) შენახვის ვადაა ექვსი თვე, მაგრამ როგორც ზემოთ აღნიშნული ფაქტებიდან ირკვევა ხარისხი უარესდება გამოშვებიდან უახლოეს პერიოდში. აღნიშნული მიზეზი კი ხელის შემშლელი პირობაა შოკოლადის მარაგის შექმნაში, რასაც გვავალდებულებს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა მშრალი საკვების რეზერვის შექმნის შესახებ“ შს მინისტრის №583 (26.07.13წ) ბრძანება. ასევე შეუძლებელია შსს დაქვემდებარებულ დანაყოფებში გერმეტულად დახურულ პოლიეთილენის ტომრებში ერთი კაცის ნორმის შესაბამისად დაფასოებული მშრალი ულუფის კომპლექტაციაში შოკოლადის ხარისხის კონტროლი და მისი ხშირი ჩანაცვლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხელშეკრულების პირობების მე-4 მუხლის დარღვევისათვის შსს ეკონომიკურმა დეპარტამენტმა მიიღო გადაწყვეტილება შპს „ბუერი"-სთან გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტისა და მის მიმართ შესაბამისი საჯარიმო სანქციების გატარების შესახებ.

მოგახსენებთ, რომ შოკოლადის ნაწარმი ყოველდღიური მოხმარებისთვის საჭირო და აუცილებელი პროდუქტია, რომელიც გამოიყენება საქვაბე და მშრალი კვების კმაყოფაზე მყოფი შს სამინისტროს მოსამსახურეების (შს მინისტრის ბრძანება N142 (01.04.17), სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს (შსს მინისტრის ბრძანება N741 (30.12.16) და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეების (საქართველოს მთავრობის დადგენილება N2684 (29.12.16), ფორს-მაჟორული გარემოებების დროს სამაშველო ღონისძიებაში მონაწილე და სხვადასხვა ღონისძიებებისას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მონაწილე თანამშრომელთა უზრუნველსაყოფად. აქედან გამომდინარე, შსს ლოჯისტიკის დეპარტამენტის N1968625 მოთხოვნის თანახმად საჭიროა ხელახალი ტენდერის პროცედურების დასრულებამდე 10000 (ათი ათასი)კგ შოკოლადის სასწრაფოდ შესყიდვა.

შექმნილ მდგომარეობას ვაფასებთ, როგორც გადაუდებელ აუცილებლობად და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 01 ოქტომბრის N756 ბრძანების შესაბამისად, გთხოვთ თქვენს თანხმობას, 10000 (ათი ათასი) კგ შოკოლადის სავარაუდო ღირებულებით არაუმეტეს 90000 (ოთხმოცდაათი ათასი) ლარი სახელმწიფო შესყიდვა, განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

**გრიგოლ გაგოშიძე**
შსს ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორი